ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 277

"11" სექტემბერი 2018 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, საბურთალოს ქ. №1-ში მდებარე 124 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.13.021.041) პირდაპირი განკარგვის წესით ტრისტან ღარიბაშვილისთვის (პ/ნ: 01024038167) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, საბურთალოს ქ. №1-ში მდებარე 124 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.13.021.041) პირდაპირი განკარგვის წესით ტრისტან ღარიბაშვილისთვის (პ/ნ 01024038167) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 16 აგვისტოს №18.669.986 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, საბურთალოს ქ. №1-ში მდებარე 124 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.13.021.041) პირდაპირი განკარგვის წესით ტრისტან ღარიბაშვილისთვის (პ/ნ: 01024038167) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 17900 (ჩვიდმეტი ათას ცხრაასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე